



“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეშელაძე

„24“ „10“ 2014 წელი

2

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სს „ქართული ფილმის“ შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

2008-2012 წლებისათვის *ა/29/00*

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	3
შესაბამისობის აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის მასშტაბი.....	4
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	5
1. საწარმოების დაფუძნება, ცვლილებები საწესდებო კაპიტალში და ქონებრივი მდგომარეობა.....	5
უარყოფითი დასკვნის საფუძვლები.....	7
2. განხორციელებული შესყიდვების კანონიერება.....	7
3. შემოსავლები და ხარჯები.....	9
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის.....	27
5. გაუნაწილებელი მოგება, დივიდენდები.....	28
6. დებიტორ-კრედიტორული დავალიანება.....	29
7. ინვენტარიზაცია.....	29
8. საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშგების მდგომარეობა.....	31
უარყოფითი დასკვნა.....	32

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „ქართული ფილმის“ 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება კომპანიის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან;
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა კომპანიის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულება;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის“ შესახებ;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სატანდარტები;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-11875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის და გადაცემის წესი“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის N1-11732 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი“;

- საქართველოს ეროვნული ბანკის 1996 წლის 20 დეკემბრის N52-ე ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძღოლის შესახებ“ დებულება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N328-ე ბრძანებით დამტკიცებული „სალაროს მეურნეობის შესახებ“ დებულება;

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სს „ქართული ფილმის“ 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. კომპანიის შემოსავლების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან;
2. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსების განკარგვის კანონიერება და მართლზომიერება;
3. კომპანიის სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

1.საწარმოს დაფუძნება, ცვლილებები საწესდებო კაპიტალში და ქონებრივი მდგომარეობა

სს „ქართული ფილმი“ დაფუძნდა 1995 წლის ივლისში სახელმწიფო კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ ბაზაზე სახელმწიფოსა და სს „ქართული ფილმის“ თანამშრომლების“ მიერ.

„ქართული ფილმის“ საქმიანობის ძირითადი საგანია საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარება და მაღალმხატვრული ფილმების შექმნა; ასევე ფილმწარმოების პროცესებთან დაკავშირებული მომსახურება და კინოინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ერთობლივი საქმიანობა სხვა კომპანიებთან, კოპროდუქცია და ა.შ.

კომპანიას აუდიტის პერიოდში დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით ფილმები არ უწარმოებია.

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენდა 10 138 450 ლარს, რომლის დამფუძნებელ პარტნიორებს წარმოადგენდნენ 66,6% – სახელმწიფო და 33,3% – სს „ქართული ფილმის თანამშრომლები“. სააქციო კაპიტალი დაყოფილი იყო 1 013 845 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენდა 10 ლარს, შესაბამისად სახელმწიფო ფლობდა 6 759 000 ლარის, ხოლო სს „ქართული ფილმის თანამშრომლები“ – 3 379 450 ლარის აქციებს.

2012 წლის თებერვალში თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ საკუთრებაში არსებული „ქართული ფილმის“ აქციების 33,33% წილი შეიძინა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ 321 300 ლარად, ხოლო 28 თებერვალს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ N0223 წერილით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფოსთვის ჩუქებით გადაეცა მის საკუთრებაში არსებული „ქართული ფილმის“ 33,33%-იანი წილი (სულ 337 948 ცალი) 1 აქციის ნომინალური ღირებულებით – 10 ლარი. აღნიშნულზე სამინისტროსა და შპს-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება და სს „ქართული ფილმის“ 1 013 845 ცალი აქცია (პროცენტული წილი კაპიტალში 100%) გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში, კერძოდ, საწარმოთა მართვის სააგენტოს საკუთრებაში.

საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანებებით¹ შეიცვალა ერთი აქციის ნომინალური ღირებულება და ნაცვლად 10 (ათი) ლარისა, განისაზღვრა 1 (ერთი) ლარით. აუდიტის წლებში მიმდინარე სააქციო კაპიტალის ცვლილებების გათვალისწინებით, 2012 წლის 18 მაისის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრებოდა 12 798 870 ლარის ოდენობით, რაც შეადგენდა 12 798 870 ცალ ჩვეულებრივ აქციას, ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) ლარი. საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანებით² სს „ქართული ფილმის“ საკუთრებაში არსებული 12 798 870 ცალი (კაპიტალის 100%) ჩვეულებრივი აქცია (ნომინალი 1 ლარი) 12 798 870 ლარის ღირებულებით შეტანილ იქნა შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ კაპიტალში.

საბუღალტრო ჩანაწერების თანახმად სააქციო საზოგადოებას 2008 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით უძრავი ქონების სახით ერიცხებოდა 74 884 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 95 217.3 ლარის ღირებულებით (მიწის ღირებულება არარეალურია, ანუ არ შეესაბამება საბაზრო ფასებს) და შენობები 34 125.6 კვ.მ ფართი, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1 652 524 ლარს, აქედან როგორც თბილისის ასევე რეგიონების მასშტაბით, ირიცხებოდა 65 კინოთეატრის შენობა, საიდანაც აუდიტის პერიოდში, პრივატიზების ფორმით გასხვისებულია 25 კინოთეატრი, სააუქციონო ოქმების მიხედვით აღნიშნული

¹ 2012 წლის 17 მაისი N1-3/355, 2012 წლის 6 აპრილის N1-3/253

² 2012 წლის 5 ივნისი N1-3/485

ქონება რეალიზებულია 4 024 150 ლარად, რაც აუდიტორის მიერ შეფასებულ საბაზრო ღირებულებას (2 578 957 ლარი) აღემატება 1 445 193 ლარით. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აუქციონები ტარდებოდა კონკურენციის გარეშე. დარჩენილი 39-დან 38 კინოთეატრი გადაეცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების³ საფუძველზე, ხოლო ფასანაურის კინოთეატრი გადაეცა ადგილობრივ თვითმმართველობას⁴.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოს მიწის ფართი აღარ ერიცხებოდა, რაც შეეხება შენობებს, დარჩენილია ზუგდიდის კინოთეატრი 14 794 ლარის საბალანსე ღირებულებით.

	რაოდენობა	ღირებულება
სულ ბალანსზე აღრიცხული კინოთეატრები	65	1 280 117
აუქციონზე გავიდა	42	-
გაიყიდა	25	4 024 150
გაიყიდული კინოთეატრების საბაზრო ღირებულება	25	2 578 957
სხვაობა	25	1 445 193
გადაეცა (საბალანსე ღირებულებით)	39	835 203
დარჩა ბალანსზე	1	14 794

უარყოფითი დასკვნის საფუძველები - სს „ქართული ფილმის“ საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

2. განხორციელებული შესყიდვების კანონიერება

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სს „ქართული ფილმის“ მიერ 2008-2012 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

სს „ქართულ ფილმს“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წარდგენილი აქვს 2008 და 2010 წლების გეგმები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. სააგენტოში

³ 2012 წლის 18 აპრილი N1-3/284

⁴ წერილი N16/1160/7-8 27.11.2008

წარდგენილი გეგმა და ფაქტობრივი შესყიდვები, რომლებიც ასახულია სააგენტოსადმი წარდგენილ ანგარიშებში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, 2008 წელს შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი სახელმწიფო შესყიდვის საბოლოო გეგმა ჯამში 2 690 962 ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივად გახარჯულმა თანხამ კი 3 კვარტლის მიხედვით დაახლოებით 547 275 ლარი შეადგინა. 2010 წელს შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განსაზღვრული იყო 550 889 ლარით, ფაქტობრივმა შესყიდვებმა კი (შესყიდვების ანგარიშების მიხედვით) 21 222 ლარი შეადგინა, რაც მეტყველებს ხარვეზებზე შესყიდვების დაგეგმვის პროცესში.

2009 წელს საქართველოს კანონმა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ შესყიდვის პროცედურების განხორციელებისგან გაათავისუფლა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები.

2011-2012 წლების შესყიდვებზე საწარმომ ვერ წარმოადგინა ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების ამსახველი ანგარიშები.

საწარმოში სხვადასხვა საწარმოო-სამეურნეო დანიშნულებით შესყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე არ არის სათანადო სამსახურების მიერ შედგენილი მოთხოვნები მოხსენებითი ბარათების სახით, რაც გახდებოდა შემდგომში შესყიდვის საფუძველი. ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულია შესყიდვები, რომელთა ღირებულებაც სცილდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, შესაბამისად, შესყიდვები ტენდერის ნაცვლად განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, რითაც უგულებელყოფილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა და შესყიდვების საჯაროობა.⁵

ქვემოთ წარმოდგენილია სს „ქართული ფილმის“ მიერ განხორციელებული ის შესყიდვები, სადაც დარღვეულია მონეტარული ზღვრები და შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკებით:

დოკ/თარიღი	კომპანიის დასახელება	საქონელი/მომსახურება	ბრუნვა კრედიტი თანხა
19.02.2008	(CTM Debie LTD)	საკონსულტაციო მომსახურება	114680
11.04.2008	Cintel International L	ხმისწარმოქმნელი მოწყობილობა	52208
04.12.2008	შ.პ.ს ინდენტი	2 ც. ხმის იზოლირებული კაბინა	34415

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნები.

04.01.2010	ფ.პ გიორგი გვარჯალაძე	ხმის ჩაწერა და მონტაჟი	5301
13.08.2010	შპს ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგი	აუდიტორული მომსახურება	8000
სულ			214 604

რიგ შემთხვევებში სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის დამკვეთის მიმართ საზოგადოება არ იყენებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ზომებს და არ ახდენდა სანქციების დარიცხვას. 2008 წლის 10 თებერვალს შპს „კინოსტუდია ნაზართან“ გაფორმებული 123 734 ლარის ღირებულების მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, თანხების გადაუხდელობაზე კომპანიამ არ დაარიცხა საურავი 2009 წლის 27 მარტამდე თანხით 10 517 ლარი ($123734 \times 0.1\% \times 85 = 10517$).

რეკომენდაცია სს „ქართულ ფილმს“

კომპანიამ იხელმძღვანელოს შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით, დაიცვას მონეტარული ზღვრები, დაწესებულ ვადებში წარადგინოს შესყიდვების ამსახველი ანგარიშები. დაგეგმვა განახორციელოს რეალური რესურსების გათვალისწინებით. შესყიდვებს საფუძვლად დაედოს შესაბამისი სამსახურის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი.

3. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში საწარმოს მიმდინარე ანგარიშები ლარში და უცხოურ ვალუტაში გახსნილი ჰქონდა სამ ბანკში: თიბისი ბანკი, სახალხო ბანკი და საქართველოს ბანკი.

აუდიტის პერიოდის განმავლობაში, სააქციო საზოგადოებამ მიიღო 6 427 309 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

	2008	2009	2010	2011	2012	ჯამი
შემოსავლები აქტივების რეალიზაციიდან და კინოწარმოების მომსახურებიდან	3,161,385	1,376,295	127,658	791,099	257,651	5,714,088
საპროცენტო შემოსავალი ბანკიდან	32,956	7,743	155	3,090	695	44,639
სხვა შემოსავლები (რეკვიზიტი ცეცხლსასროლი იარაღების შემოსავალში აღება, მორიგებით ელ. ენერგიის თანხები, შედარების აქტით თანხების აღდგენა და სხვ.)	35,578	14,078	128,785	12,267	477,874	668,582
სულ შემოსავალი	3,229,919	1,398,116	256,598	806,456	736,220	6,427,309

შემოსავლების ძირითადი ნაწილი 89% მიღებულია საწარმოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (კინოთეატრები) რეალიზაციის შედეგად. მენეჯმენტის მიერ არ ხდებოდა აქტივების ეფექტიანი მართვა, რაც დამატებით სარგებელს მოუტანდა კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა, რომ საზოგადოებას გაფორმებული აქვს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებები კერძო კინოკომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გადაღება.

კონტრაქტების თანახმად, „ქართული ფილმის“ თანამონაწილეობა ითვალისწინებდა ფილმის ბიუჯეტში მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით (კინოკამერებით, კინოსამონტაჟო, ხმის დამუშავების, ფერების კორექციის და ა.შ. მომსახურებას) შესვლას, იმ პირობით, რომ ფილმის ტიტრებში მითითებული იქნებოდა „ქართული ფილმის“ თანამონაწილეობა.

ფილმების პოპულარიზაცია, გაყიდვები, კინოფესტივალებზე წარდგენა და კომერციული შემოსავლების მიღება ევალებოდა კერძო კინოკომპანიას, რომელიც ხელშეკრულების მეორე მხარეს წარმოადგენდა.

ფილმების ნებისმიერი სახით გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლები, განაწილდებოდა მხარეთა შორის მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

აუდიტის პერიოდში საფინანსო დოკუმენტაციის თანახმად, თანამონაწილეობით „მზა პროდუქციის“ სახით შემოსავალშია აღებული 420 765 ლარის პროდუქცია. ცხრილში ასახულია „ქართული ფილმის“ წილები კინოსურათების მიხედვით:

(ლარი)

		კინოკომპანიის დასახელება	წილის %	წილი თანხაში
1	„ბუდე“	ად ასტრა ფილმსი	4.24%	5,085
2	თინათინ გურჩიანის სადიპლომო ნაშრომი— მოკლემეტრაჟიანი ფილმი	HHF "KONRAD WOLF"	21.69%	32,193
3	"სუსა"	შპს "კავკასიური ფილმოდრომი"	17.36%	52,727
4	„მამაჩემის გელფრენდი“	შპს "დაბლ ელ ფილმზი"	7.48%	15,382
5	„უშენოდ მგონი მოვკვდები“	შპს "კინოსტუდია ნაზარი"	7%	126,734
6	"ნაკვეთი"	ნარიმანფილმი	9.08%	126,769
7	"სამი სახლი"	ი/მ ზაზა ურუშაძე	5.12%	57,500
8	ინფორმაცია კინოს სფეროში მოღვაწე პირთა შესახებ	ფ/პ დავით ჩუბინიშვილი	85%	4,375
	ჯამი			420,765

აუდიტით გამოვლინდა, რომ საზოგადოებას აღნიშნული ფილმებიდან შემოსავლები არ მიუღია. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებების თანახმად განსაზღვრული იყო მხარეთა ვალდებულებები; მათ შორის, ისეთი ინფორმაციის მიღების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ფილმთან დაკავშირებულ ფინანსურ ინფორმაციას და დოკუმენტებს, ფილმის ნებისმიერი სახით გამოყენებიდან შემოსავლების მიღების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. „ქართული ფილმის“ მენეჯმენტს არანაირი ღონისძიებები არ გაუტარებია, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული კინოსურათებიდან მისაღები თანხების იდენტიფიცირება. აღნიშნულს ართულებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოში არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია, სადაც კინოსურათებიდან მიღებული ჯამური შემოსავლები კონცენტრირდებოდა. ასევე, ნათლად არ არის განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკა და მიმართულებები, არ ხორციელდება ზედამხედველობა, კულტურის სამინისტროს სსიპ „ეროვნული კინოცენტრი“ და სააქციო საზოგადოება არაკოორდინირებულად მუშაობს.

ერთობლივი პროდუქციის წარმოებისა და ამ მიმართულებით დამატებითი შემოსავლების მისაღებად, „ქართული ფილმის“ მენეჯმენტის მიერ არ ხორციელდება სარეკლამო და სხვა სახის პოპულარიზაციის ღონისძიებები, რაც იწვევს საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ნაკლებად ინფორმირებულობას (კომპანიას ასევე არ გააჩნია საიტი).

სალაროს ოპერაციები

სააქციო საზოგადოებაში აუდიტის პერიოდში ადგილი ქონდა სალაროში ნაღდი ფულით ანგარიშსწორებებს. წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სალაროში ფულადი სახსრების მოძრაობას ლარში:

	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი პერიოდის ბოლოს
2008	5,513.64	372,449.95	375,309.57	2,654.02
2009	2,654.02	274,022.97	275,987.66	689.33
2010	689.33	70,087.84	66,734.81	4,042.36
2011	4,042.36	66,908.55	54,795.67	16,155.24
2012	16,155.24	46,005.04	61,397.91	762.37

სალაროს ნაშთის ლიმიტი დამტკიცებული არ ყოფილა⁶. კომპანიის მენეჯმენტსა და თანამშრომლებზე ხდებოდა მნიშვნელოვანი ოდენობით ნაღდი ფულის საქვეანგარიშოდ გაცემა (სალაროდან და ასევე ბანკიდან პირად ან პერსონალურ კორპორატიულ ანგარიშებზე გადარიცხვით) ისე, რომ არ იყო განსაზღვრული

⁶ დარღვეულია საქ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1996 წლის 20 დეკემბრის N52-ე ბრძანების 1.3. პუნქტისა და 1999 წლის 31 დეკემბრის N328-ე ბრძანების 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

გაცემული თანხის მიზნობრიობა და გამოყენების ვადა. საქვეანგარიშოდ გაცემული გამოუყენებელი თანხა არ ბრუნდებოდა კანონმდებლობით დადგენილი,⁷ განსაზღვრული წესის თანახმად კომპანიის სალაროში დროულად (ბრუნდებოდა არსებითი დაგვიანებით), მიუხედავად იმისა, რომ თანხების მიმღები პირები ანგარიშვალდებულნი იყვნენ ბუღალტერიასთან გამოყენებული თანხების ხარჯვის შესახებ. იმის გაუთვალისწინებლად, რომ თანხები დასაბრუნებელი ჰქონდათ და ერიცხებოდათ დებიტორული დავალიანების სახით, ხშირ შემთხვევებში, მათზე დამატებით თანხები მაინც გაიცემოდა. სამივლინებოდ და წარმომადგენლობითი მიზნებისათვის გაცემული თანხების გარდა, ძირითადად, ვერ დგინდება არამარტო სალაროდან თანხების გაცემის მიზნობრიობა, არამედ მათი ეკონომიკური, კომერციული შინაარსი; ანუ სალაროდან გაცემული ფულადი სახსრები, გარკვეული დროის შემდეგ კომპანიის სალაროში ბრუნდებოდა ისევ ნაღდი ფულის სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არის რისკი, რომ კომპანიის ფულად სახსრებს თანამშრომლები კანონდარღვევით იყენებდნენ საკუთარი მიზნებისათვის სხვადასხვა პერიოდებით (თვეებით, წლებით). კომპანიის მიერ გაცემული ფულადი სახსრები არ აღიარებულა არც სესხად და შესაბამისად, საზოგადოებას არანაირი სარგებელი არ მიუღია.

რეკომენდაცია

ნაღდი ფულის მოძრაობასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სააქციო საზოგადოებამ ანგარიშსწორების ოპერაციები აწარმოოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ხარჯები

სააქციო საზოგადოებამ აუდიტის პერიოდში გასწია 9 037 296 ლარის ხარჯი:

	2008	2009	2010	2011	2012	ჯამი
ხელფასი	478,189	450,407	216,339	197,783	193,755	1,536,473
ამორტიზაცია	1,560,525	1,632,769	1,258,241	256,885	53,132	4,761,552
წყლის ხარჯი	0	15,557	10,683	0	0	26,240
ელ.ენერგია	38,000	60,625	52,067	64,542	188,835	404,069
ინტერნეტით მომსახურება	2,650	2,040	994	868	176	6,728
სატელეფონო	23,330	21,975	12,376	8,827	5,953	72,461
წარმომადგენლობითი	19,439	13,189	291	0	14	32,933
საგადასახადო	97,093	64,254	48,198	27,130	25,098	261,773
სხვა საწარმოო ხარჯი(სხვადასხვა შესყიდვები)	687,296	599,377	143,085	252,538	252,771	1,935,067
სულ ხარჯები	2,906,522	2,860,193	1,742,274	808,573	719,734	9,037,296

⁷ დარღვეულია საქ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1996 წლის 20 დეკემბრის N52-ე ბრძანების 1.6. პუნქტისა და 1999 წლის 31 დეკემბრის N328-ე ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდის საწყის ეტაპზე (2008-2009 წლები) გაწეულია მთლიანი ხარჯების 64% (5 776 715 ლარი), შემდგომ პერიოდებში იგი ეტაპობრივად შემცირებულია. რაც შეეხება კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეულ ხარჯებს, მათი უმეტესი წილი 53 % (4 761 552 ლარი) მოდის ცვეთასა და ამორტიზაციაზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ საწარმოს წლების განმავლობაში ერიცხებოდა მნიშვნელოვანი ოდენობის უსარგებლო ძირითადი საშუალებები, რომლებიც ტექნიკურად, მორალურად მოძველებულია და რომელთა შესამცირებლადც გასატარებელია შესაბამისი ღონისძიებები (მ. შ. 2007 წელს შეძენილი 1 037,4 ათ. ლარის ღირებულების ფირების გასამუდავებელი ლაბორატორია, რომელიც უკვე სრულად ამორტიზირებულია; ასევე, იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო წლებში მიმდინარეობს კინოსურათების გადაღება ძირითადად ციფრული ვერსიით, ლაბორატორია თითქმის უფუნქციოდაა დარჩენილი და სხვ).

რეკომენდაცია

ცვეთის ხარჯების შემცირების მიზნით, საჭიროა დადგინდეს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობა და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები (რეალიზაცია, უტილიზება, გადაცემა).

სახსრების დაუსაბუთებელი და არაციონალური ხარჯვა:

1. „ქართულმა ფილმმა“ 2008 წლის 6 მარტს გამოაცხადა ტენდერი კამერა RED ONE #501 შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა კომპანიამ – შპს „ეი-ბი-სი“-მ და 8 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 000 ევრო ხელშეკრულების დადების დღეს არსებული კურსის შესაბამისად. ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 დღე კონტრაქტის ძალაში შესვლიდან. სარეკლამო კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პირობები და საქონლის საბოლოო მიწოდება განახორციელა 170 დღის დაგვიანებით. ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო, სააქციო საზოგადოებამ არ დაარიცხა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელმაც შეადგინა 10 524 (29000*0.1%*170დღ.*2.1346=10524) ლარი.

წარმოდგენილი კონტრაქტით გაურკვეველია მხარეთა შორის ანგარიშსწორების ფორმა (ნაღდი თუ უნაღდო). თანხა გაცემული იქნა კომპანიის სალაროდან 77 994 ლარის ოდენობით, წინაწასწარი გადახდის სახით.

2008 წელს „ქართულ ფილმს“ ჰყავდა კონსულტანტი ტექნიკის საკითხებში (ლევან ბახია), რომლის პირდაპირი მოვალეობა იყო კომპანიისათვის შესასყიდი ტექნიკის როგორც საჭიროების განსაზღვრა, ასევე კონსულტირება. კონსულტანტი პერიოდულად ესწრებოდა ამერიკასა და ევროპაში სამაუწყებლო და გადამღები

ტექნიკის გამოფენებს ტექნიკის შესარჩევად. აქედან გამომდინარე, იგი ინფორმირებული უნდა ყოფილიყო ამ სფეროში სიახლეებსა და შესაბამისად ტექნიკის ფასებზეც.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სარეკლამო კომპანიამ RED ONE #501 შპს „სარკე სტუდიასგან“ შეიძინა 77 994 ლარად. რომელიც შემდგომში მიყიდა „ქართულ ფილმს“ 77 994 ლარად.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა როგორც მიმწოდებელი კომპანიის შპს სარეკლამო კომპანია „ეი-ბი-სი“-ს, ასევე შპს „სარკე სტუდია“-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. გამოვლინდა, რომ ორივე კომპანიის დამფუძნებელი პატრიორი და 25%-იანი წილის მფლობელი იყო ქართული ფილმის კონსულტანტი ტექნიკის საკითხებში.

კინოკამერის სარეალიზაციო ფასის დაზუსტების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა ელექტრონული ფოსტის საშუალებით კითხვით მიმართა RED ONE-ის მწარმოებელ კომპანიას „RED DIGITAL CINEMA“ (WWW.RED.COM). კომპანიიდან მიღებული პასუხის თანახმად – „2008 წელს RED ONE-ის ფაქტურული ღირებულება შეადგენდა 17 500 \$-ს და ასევე, უფრო იაფადაც შეიძლებოდა მისი შეძენა მეორადი მოხმარების ტექნიკის ბაზარზე“; აღნიშნული თანხა ($17500\$ \cdot 2.00 = 35\,000$ ლარი) კი 42 994 ლარით ნაკლებია რეალურად გადახდილ ფასზე და ფასნამატი ფაქტურული ღირებულების მიმართ შეადგენს 122.8%-ს.

სააქციო საზოგადოებას შეეძლო პირდაპირ მომწოდებლიდან, შუამავალი კომპანიების გარეშე შეეძინა კამერა, რითაც დაზოგავდა სახსრებს. ანუ, კომპანიამ განახორციელა არარაციონალური შესყიდვა.

2. სს „ქართულ ფილმსა“ და ფიზიკურ პირ როი შარონ პელედის (აშშ–ს მოქალაქე) შორის 2008 წლის 28 მარტს გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება N10 11582 აშშ დოლარის ღირებულებით, რომლის საგანს წარმოადგენდა საკონსულტაციო მომსახურება ჰოლივუდის პროდიუსერული პრაქტიკის ადაპტაციის საკითხებზე პოსტ საბჭოთა ქვეყნებში. კომპანიამ ვერ წარმოადგინა როი შარონ პელედის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის ვერც მიღება/ჩაბარების აქტი, (რაიმე ტიპის ანგარიში, თუ ვის და რა სახის კონსულტაცია გაეწია, რომელიც შენახული იქნებოდა თუნდაც ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე) და ასევე, მოთხოვნა აღნიშნული შესყიდვის განხორციელების საფუძვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული იყო ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით, ერთსა და იმავე თარიღში მიმწოდებელს 2 482 აშშ დოლარი (3 632 ლარი) აუნაზღაურდა სალაროდან ნაღდი ფულის სახით, ხოლო 9 100 აშშ დოლარი (13 318 ლარი) გადაირიცხა ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.

კომპანიის მიერ (კონტრაქტი არ ითვალისწინებდა) როი შარონ პელედისათვის ანაზღაურებულია სასტუმროს ხარჯი 8 679 ლარის ოდენობით, მათ შორის ინვოისში

წარმოდგენილი მეორე პირის რეი ჰაბოუშის ცხოვრების ღირებულებაც, რომელმაც შეადგინა 4 563 ლარი.

კომპანიამ ასევე აანაზღაურა (კონტრაქტი არც ამ ხარჯს ითვალისწინებდა) როი შარონ პელედის მგზავრობის ხარჯები – 17 136 ლარის ოდენობით, სადაც სასტუმროს მსგავსად გათვალისწინებულია რეი ჰაბოუშის მგზავრობის ხარჯებიც, თუმცა ავიაბილეთები წარმოდგენილი არ არის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოს რეი ჰაბოუშთან არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონდა, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა საწარმოს წარმოშობადა მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

ზემოაღნიშნული ორი პიროვნების ვიზიტის ფარგლებში „ქართულმა ფილმმა“ **სამართლებრივი საფუძვლის გარეშე** გაწია **42 766 ლარის ხარჯი**, რომლის კომერციული შინაარსი ვერ დასტურდება. აღნიშნული წარმოდგენს სახსრების დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯვას.

3. საზოგადოებამ 2008 წლის 10 მაისს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა ხელშეკრულება N03 მომსახურების შესყიდვაზე ფიზიკურ პირ მიშელ ფავაზ ფრეიასთან (აშშ-ს მოქალაქე) ფილმწარმოების ბიუჯეტირებასთან (ბიუჯეტის შედგანასთან) დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების შესახებ. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 3 260 აშშ დოლარი.

საწარმომ, ზემოაღნიშნული მომსახურების მსგავსად, ვერ წარუდგინა აუდიტის ჯგუფს ვერანაირი დოკუმენტური მტკიცებულება (მ. შ. ელექტრონული სახის), თუ რა სახის საკონსულტაციო მომსახურება განხორციელდა კონტრაქტის თანახმად, გარდა სტანდარტული მიღება/ჩაბარების აქტისა, რომლითაც გაურკვეველია მის მიერ შესრულებული სამუშაო. კომპანიის მიერ აღნიშნული პირის ვიზიტის ფარგლებში გაწეულია **5 665 ლარის** (4 730 ლარი, 935 ლარი – სასტუმრო) **არარაციონალური ხარჯი**.

4. 2008 წლის 19 თებერვალს კომპანია “CTM Debie”-სა (საფრანგეთი) და „ქართულ ფილმს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 50 000 ევროს ღირებულებით, რომლის საგანს წარმოადგენდა ქიმიური ნეგატივის ლაბორატორიის მუშაობასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო და ინსტრუქტაჟის მომსახურების შესყიდვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული – კონსულტანტის ვიზიტის თარიღები, რომელიც მხარეებს წინასწარ წერილობითი ფორმით უნდა შეეთანხმებინათ, რათა აღნიშნულ დოკუმენტში ასახული გრაფიკის მიხედვით განხორციელებულიყო კონსულტაციებისა და ინსტრუქციების მოწოდება, საზოგადოებამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა. კონტრაქტი ითვალისწინებდა წინასწარ, უნაღდო ანგარიშსწორებას, რომელიც განხორციელდა კიდევაც. ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულება (ინვოისი, მ.შ. მ/ჩ აქტი), რომელიც დაადასტურებდა, განხორციელდა თუ არა ხელშეკრულების თანახმად

მომსახურების მიწოდება. ასევე ვერ დგინდება დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა, მომსახურების მოწოდების ვადები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ყოველგვარი დოკუმენტური საფუძვლის გარეშე ანაზღაურებულია **114 680 ლარი** (50 00 ევრო), რომელიც წარმოადგენს **დაუსაბუთებელ ხარჯს**.

5. 2010 წლის იანვარში ძირითადი საშუალებების საბალანსე ანგარიშის მიხედვით შემოსავალშია აღებული კამერა RED ONE-ის ვიზირი, ვინჩესტერი და ა.შ. – სულ 13 999 ლარის აქტივები. ფინანსური ანგარიშგების თანახმად, ჩამოწერილია დებიტორული დავალიანების თანხა N1430 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“ ანგარიშის ბარათიდან (კერძოდ, გიორგი გვარჯალაძის ბარათიდან, რომელიც მას საქვეანგარიშოდ ჩაერიცხა 4-5 თვით ადრე). აუდიტის ჯგუფს შეძენის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია (ინვოისი, სასაქ. ზედნადები, მ/ჩაბარების აქტი და ა.შ.) ვერ წარედგინა. შესაბამისად, ვერ დგინდება **გადახდილი თანხის საბაზრო ფასთან შესაბამისობა**. ამასთან, დარღვეულია ნორმატიული აქტი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ, რომლის თანახმად საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღნუსხავენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს და უზრუნველყოფენ სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის სისრულესა და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბებას⁸. **13 999 ლარი დაუსაბუთებელი ხარჯია.**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2008 წლის მაისში კომპანიის მენეჯმენტის ბრძანების გარეშე, ნაღდ ანგარიშზე განხორციელდა ნგარიშსწორება ავიაკომპანია „ლუფტჰანზასთან“ (ბილეთის ღირებულება) 1 132 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა აღიარებულია სხვა საერთო-ადმინისტრაციულ ხარჯად და არ არის მითითებული ბილეთის შეძენის მიზნობრიობა, ამასთან ავიაკომპანიას თანხა უკან არ დაუბრუნებია. **1 132 ლარი წარმოადგენს დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯს.**⁹

7. რუსეთის მოქალაქე კლიმენტ კოლოსოვთან 2009 წლის სექტემბერში გაფორმდა ორი ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 8 160 ლარი (ხარჯი გადასახადების ჩათვლით). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არქივის საკითხებში კონსულტაციის გაწევა და კომპანიის სტრუქტურის შექმნა.

მხარეებს შორის შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები ვალდებულების შესრულებაზე. იმის გამო, რომ ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული გაწეული მომსახურება რა ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ზეპირი,

⁸ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

⁹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

წერილობით, ელექტრონული ვერსია), შეუძლებელია დადგინდეს მათი შესრულების რეალობა.

ანალოგიური მდგომარეობაა ფ/პ ნინო გამრეკელთან 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით (თანხით 1047 გადასახადის ჩათვლით) ნაკისრ პრეზენტაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების რეალობის დადგენასთან მიმართებაში.

მივლინების ხარჯები:

სამივლინებო ხარჯების არსებით წილს წარმოადგენდა ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯები, შესაბამისად აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული ხარჯები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, *სამსახურებრივი დავალების* შესასრულებლად დამქირავებელი ბრძანების საფუძველზე აგზავნის დაქირავებულს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებით. ბრძანებასა და შესაბამისად მივლინებას საფუძველად, როგორც წესი, უნდა ედოს დასაბუთებული მტკიცებულებათა ერთობლიობა – მოწვევა, მოხსენებითი ბარათი მივლინების მიზნებისა და შესასრულებელი დავალებების შესახებ, რაც ხდება შემდგომში კიდევაც მივლინებაში წასვლის საფუძველი.

აუდიტის წლებში, ერთი გამონაკლისის გარდა, მივლინებებთან დაკავშირებული მოწვევები საზოგადოებამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა. კომპანიაში არ ხდებოდა მივლინებიდან დაბრუნებული თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების შედგენა. ხშირ შემთხვევებში ხარჯად აღიარების დოკუმენტებს არ ერთვის ასევე მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აუდიტის ჯგუფისათვის გაურკვეველია, თუ რა კომერციულ და შემოქმედებით მიზნებს ისახავდა მიზნად საზღვარგარეთ განხორციელებული მივლინებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ როცა კომპანიაში არ იწარმოებოდა ფილმები, არ ხდებოდა კომპანიის კინოპროდუქციის წარდგენა/ჩვენება და პრეზენტაციები კინოფესტივალებზე (აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა) და სხვ.

საზოგადოების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების უმრავლესობა არ იყო მიზანშეწონილი, რადგან „ქართულ ფილმს“ არანაირი დამატებითი სარგებელი არ მიუღია.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები:

2008 წელი:

1. 2008 წელს „ქართული ფილმის“ თანამშრომლები იმყოფებოდნენ საფრანგეთში, კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. წინასწარი საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად გაიწია 3 335 ლარის სამივლინებო ხარჯი, მათ შორის, ზენორმიული

მივლინების სახით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე 881 ლარი ჩამოწერილია N7499 – „სხვა საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებზე“. ავიაბილეთი წარმოდგენილი არ არის. კინოფესტივალზე დასასწრებად კი კანში გაემგზავრა 7 თანამშრომელი, თუმცა ვერც ერთის მოწვევა აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა. აღნიშნული ვიზიტი კომპანიას დაუჯდა 34 585 ლარი. ფესტივალის ფარგლებში გაწეული ხარჯები სულ – **37 920 ლარი არარაციონალური ხარჯია.**

2. ქ. ლოს-ანჯელესში სამაუწყებლო და გადამღები ტექნიკის ეროვნული ასოციაციის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად 9 დღით 2008 წლის 8 აპრილის N11 ბრძანების თანახმად გაემგზავრა სამი თანამშრომელი. აღნიშნულ წელს ტექნიკა კომპანიის მიერ არ ყოფილა შეძენილი პირდაპირ მწარმოებლისგან. ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში გახარჯული **16 245 ლარი არარაციონალური და დაუსაბუთებელი ხარჯია.**

3. 2008 წლის 29 აპრილის N14 ბრძანებით კომპანიის დირექტორი, მისი მოადგილე და ფინანსური მენეჯერი მივლინებული იქნენ ქ. ბაქოში კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმთან“ საქმიანი ურთიერთობების მოსაგვარებლად. მგზავრობის ბილეთები წარმოდგენილი არაა, ხოლო 340 ლარი (დ. ნაცვლიშვილი – 154 ლ. ა. მენაღარიშვილი – 186 ლ.) ჩამოწერილია ფინანსური აღრიცხვის N7499 ანგარიშის ბარათიდან ზენორმიული მივლინების სახით, ისე რომ არაა წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი. **340 ლარი დაუსაბუთებელი და ზედმეტად¹⁰ ანაზღაურებული ხარჯებია.**

4. ჰოლანდიაში ქ. ამსტერდამში, ტექნიკის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად და ტექნიკის შესარჩევად, 2008 წლის 12 სექტემბერს N21 ბრძანებით გაემგზავრა კინოსტუდიის სამი თანამშრომელი. აღნიშნული მივლინების ფარგლებში აღიარებულია ხარჯად **8 685 ლარი**, რომელიც **არარაციონალური ხარჯია**, ხოლო **ზედმეტადაა** საზოგადოების მიერ **ანაზღაურებული** სულ – **750 ლარი.**

5. კინოსტუდიის დირექტორის დ. ნაცვლიშვილის 2008 წლის 17 ნოემბრის N26 ბრძანების საფუძველზე, კომპანიის დირექტორი და მისი მოადგილე ა. მენაღარიშვილი მივლინებულ იყვნენ ქ. ბაქოში „ნარიმანფილმთან“ წილობრივი ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, სამივლინებოდ მათ მიერ კომპანიის სალაროდან გატანილია ნაღდი ფული, ხოლო მგზავრობისათვის თანხა გადარიცხულია შპს „ინტერტურში“. სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯები დაანგარიშებულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ ხარჯად აღიარების დროს მოქვეანგარიშე პირებიდან თანხები ჩამოწერილია არასწორად. **ზემოაღნიშნული ხარჯი – 1 114 ლარი**, ჩამოწერილია საბალანსე ანგარიშის – „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ“ დ. ნაცვლიშვილის პირადი ბარათიდან და აღიარებული ხარჯად **ორჯერ**, ისე რომ ა. მენაღარიშვილის პირად

¹⁰ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ბარათზე – „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ“, ხარჯის ჩამოწერა არ განხორციელდა. აღნიშნული ფაქტი კომპანიაში არსებული ფინანსური კონტროლის სუსტ გარემოზე მიუთითებს.

2009 წელი:

6. 2009 წლის 16 აპრილის N03 ბრძანების საფუძველზე დირექტორის მოადგილე (ა. მენაღარიშვილი) პოსტპროდუქციის მენეჯერი (გ. გვარჯალაძე) გაემგზავრნენ 10 დღით ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ტექნიკური მოწყობილობების გამოფენაში მონაწილეობისა და კინოკამერა RED ONE-ის შესაკეთებლად. აღნიშნული ციფრული კამერა საკმაოდ მაღალ ფასად შეძენილ იყო კომპანიის მიერ ერთი წლის წინ. ვერანაირი დოკუმენტები, რაც დაადასტურებდა RED ONE-ის დაზიანებას, ან ამერიკაში მის შეკეთებას, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა. ასევე, ბუღალტრულადაც არ დასტურდება შეკეთების ხარჯების გაწევა. აღნიშნული მივლინების ფარგლებში გახარჯულია სულ **14 880 ლარი**, რაც **არარაციონალური ხარჯია**, ხოლო ორივე თანამშრომელზე **ხარჯვის დოკუმენტების გარეშეა** ჩამოწერილი **ზენორმიული**¹¹ მივლინების სახით **1 122 ლარი**.

7. კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად 2009 წლის 12 მაისის N04 ბრძანების თანახმად გაემგზავრა საზოგადოების ორი თანამშრომელი: დირექტორის მოადგილე – ა. მენაღარიშვილი 14 დღით და კონსულტანტი კოპ–პროდუქციის საკითხებში – კ. დავარაშვილი 11 დღით, რომელიც „ქართულ ფილმში“ მიღებული იყო 1 მაისიდან მხოლოდ 2 თვით. კომპანიამ მივლინების ფარგლებში სულ ხარჯად აღიარა **13 859 ლარი**, რომელიც **არარაციონალური ხარჯია**; საზოგადოების მიერ კ. დავარაშვილის მგზავრობის ფარგლებში კი ყოველგვარი დასაბუთებული საფუძვლის გარეშე **ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, ზედმეტ ხარჯად არის აღიარებული 2 652 ლარი** (სამივლინებო ბრძანება არ ითვალისწინებდა ამსტერდამის გავლით მგზავრობას, რისთვისაც გადაიცვალა ბილეთი და გაიზარდა ხარჯი).

8. ეროვნული კინემატოგრაფიის XIII ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად 2009 წლის 27 აგვისტოს N18 ბრძანების საფუძველზე დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ა. გელოვანი მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში. ეს არის ის ერთადერთი შემთხვევა, როცა კომპანიაში მივლინებას საფუძვლად უდევს მოწვევა, რომელიც საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას თან ერთვის. ფორუმის პრეზიდენტი იწვევდა ა. გელოვანს და მოწვევის თანახმად, ფორუმის დირექცია უზრუნველყოფდა მიწვეული პიროვნების საცხოვრებლით, კვებითა და ორივე მხარეს მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას. კომპანიის მიერ სამივლინებოდ ა. გელოვანზე გაიცა **3 339 ლარი**, ხოლო მგზავრობისათვის შპს „ინტერტურს“ გადაერიცხა **1 820 ლარი**. ავიაბილეთი ადგილზე წარმოდგენილი არ არის. იმასთან დაკავშირებით, რომ მიმწვევი მხარე

¹¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ანაზღაურებდა გარკვეულ ხარჯებს, არსებული კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოებას მივლინებულზე უნდა გაეცა სამივლინებოდ მხოლოდ სადღელამისო ნორმის 30% ($50\$ \cdot 8 \text{დლ.} \cdot 30\% \cdot 1.686 = 203 \text{ლარი}$). სულ მივლინების ფარგლებში **ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდა**¹² **დახარჯული 4 957 ლარი**, ხოლო ა. გელოვანზე გაცემული სამივლინებო თანხიდან 3137 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას.

9. 2009 წლის 10 სექტემბრის N20 ბრძანების თანახმად ჰოლანდიაში, ამსტერდამში ტექნიკის გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად და ახალი ტექნოლოგიების გასაცნობად კინოსტუდიიდან გაემგზავრა სამი თანამშრომელი: დირექტორი – ა. მენაღარიშვილი, პოსტ პროდუქციის მენეჯერი – გ. გვარჯალაძე და კინო ციფრული არქივის სპეციალისტი – გ. გოგუაძე. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გამოფენაზე დასასწრებად რეგისტრაცია გაიარა (რეგისტრაცია შესვლისა და დასწრების უფლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევიდოდა გამოფენის საექსპოზიციო დარბაზში) მხოლოდ ა. მენაღარიშვილმა. დარჩენილი ორი თანამშრომლის სარეგისტრაციო საბუთები აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა. აქედან გამომდინარე, კომპანიის მიერ ამ მივლინების ფარგლებში (2 თანამშრომლის) **დასაბუთების გარეშე, ზედმეტადაა ხარჯად აღიარებული 6 929 ლარი**; ამასთან, თითოეულ თანამშრომელზე არსებული კანონმდებლობის დარღვევით¹³ ანაზღაურებულია სალაროდან 306 ლარი, სულ – **918 ლარი**.

10. 2009 წლის 21 სექტემბრის (N21,22) ბრძანებების საფუძველზე ქ. ბაქოში მივლინებით იმყოფებოდნენ აღმასრულებელი დირექტორი ა. მენაღარიშვილი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ა. გელოვანი. აღნიშნული მივლინების ფარგლებში თითოეულ მივლინებულზე, კომპანიის სალაროდან ნორმატიულ აქტთან¹⁴ შეუსაბამოდ, **ზედმეტადაა ანაზღაურებული 210 ლარი** სამივლინებო ხარჯი, სულ – **420 ლარი**.

11. 2009 წლის 11 დეკემბრის N25 ბრძანების თანახმად აღმასრულებელი დირექტორი ა. მენაღარიშვილი მივლინებულ იქნა საფრანგეთში, ქ. პარიზში კინოარქივის პროექტთან დაკავშირებით. კომპანიას არ დაუფინანსებია მისი მგზავრობის ღირებულება (შესაბამისად ბილეთებიც არაა წარმოდგენილი), მივლინების ხარჯადაა აღიარებული მხოლოდ სადღელამისო და ბინის დაქირავების თანხები 1 377 ლარი, საიდანაც **ზედმეტად**, არსებული ნორმების ზევით გაცემულია **324 ლარი**. აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მივლინების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანგარიში. **გახარჯული 1 377 ლარი არარაციონალური და დაუსაბუთებელი ხარჯია**.

¹² დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

¹³ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები.

12. 2009 წლის ოქტომბერში კინოსტუდიიდან, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, გადაერიცხათ შპს „ცენტრალ თრეველს“ – 1 395 ლარი, შპს „ეი სი თრეველს“ – 428 ლარი. ა. გელოვანისა და კლიმენტ კოლოსოვისთვის მოსკოვის ავიაბილეთების ღირებულება. აღნიშნული თანხები – სულ 1 823 ლარი, კომპანიის მიერ აღიარებულია სამივლინებო ხარჯად, ისე რომ მენეჯმენტის მიერ არ არის გამოცემული შესაბამისი ბრძანება მივლინების შესახებ¹⁵; ე.ი. 1 823 ლარი საზოგადოების მიერ გახარჯულია ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, არარაციონალურად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ამასთან სამივლინებოდ სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯები არ ფიქსირდება და ვერ დასტურდება მივლინების ფაქტი.

2010 წელი:

2010 წლის სამივლინებო ხარჯთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კომპანიამ ვერ წარმოადგინა.

13. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ა. გელოვანის მიერ 2010 წლის 5 აგვისტოს გამოცემულია N05–ს ბრძანება მისი კიევში მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით. მივლინების ხარჯი მთლიანად შეადგენს 3 010 ლარს. აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მივლინებაში გამგზავრების მიზეზი, ასევე იქ შესრულებული სამუშაო. აღნიშნულიდან გამომდინარე, გახარჯული 3 010 ლარი წარმოადგენს არარაციონალურ ხარჯს.

14. 2010 წელს მივლინების ხარჯების მუხლით N7475 საბალანსო ანგარიშზე ხარჯადაა აღიარებული 4 338 ლარი (სასტუმროს ხარჯების სახით გადამღები ჯგუფის სამივლინებო ხარჯი). აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა დოკუმენტი (ბრძანება, კონტრაქტი და ა.შ.), რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა გარკვევა, თუ რა გადაღებები მიმდინარეობდა და გათვალისწინებული იყო თუ არა სასტუმროს მომსახურების ხარჯები. აქედან გამომდინარე, 4 338 ლარი წარმოადგენს დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯს.

2011 წელი:

15. 2011 წლის 26 აპრილის N04 ბრძანების მიხედვით, საზოგადოებამ კონსულტანტი ტექნიკურ საკითხებში გ. გვარჯალაძე 25 დღით მიავლინა აშშ–ში ქ. ლოს-ანჯელესში კინოსკოლაში, ადგილობრივ სტუდიებში გახმოვანების, პოსპროდუქციის ტექნოლოგიური პროცესის სიახლეების გაცნობის, შესწავლის და შემდგომ „ქართულ ფილმში“ დანერგვის, ასევე კინოკამერა RED ONE-ის მწარმოებელ ქარხანაში აღნიშნული კინოკამერის ტესტირების ჩატარების მიზნით. საბუღალტრო

¹⁵ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიამ მივლინების ფარგლებში ხარჯად აღიარა 5 760 აშშ დოლარი (9 713 ლარი); მაგრამ არაა თანდართული ხარჯვის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი (ავიაბილეთები, ინვოისი და ა.შ.), რაც დაადასტურებდა ამ პიროვნების ამერიკაში ყოფნას. აუდიტის ჯგუფს ასევე ვერ წარედგინა მისი კინოსკოლაში ჩარიცხვის და კურსის გავლის შესაბამისი სერტიფიკატი, RED ONE-ის ქარხანაში კინოკამერის ტესტირების ჩატარების შედეგები, „ქართულ ფილმში“ დანერგილი სიახლეების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **9 713 ლარი წარმოადგენს დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯს.**

საწვავის ხარჯვა:

სააქციო საზოგადოებაში აუდიტის პერიოდში გახარჯულია საწვავი (ბენზინი, დიზელის საწვავი) საერთო ღირებულებით 62 502 ლარი. საწვავის ხარჯვის დინამიკას ასახავს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი:

საწვავის დასახელება	2008		2009		2010		2011		2012		ჯამი
	რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა	
ბენზინი	22 020	32,286	18 200	20,508	1 700	2,665	2 400	4,148	0	0	59,607
დიზელის საწვავი	1 000	1,356	0	0	1 020	1,539	0	0	0	0	2,895
სულ გახარჯული საწვავი		33,642		20,508		4,204		4,148		0	62,502

კომპანიაში მენეჯმენტის მიერ საწვავის გაცემასა და შესაბამისად ხარჯვაზე არანაირი ლიმიტები დაწესებული არ ყოფილა. 2008–2009 წლებში ბენზინისა და დიზელის საწვავის გახარჯვის აღსარიცხავად და ჩამოსაწერად ავტომატური მიხედვით შედგენილია ყოველთვიური „საწვავის ჩამოწერის აქტები“. საწვავის გახარჯვის აღრიცხვის ფურცელზე საწვავის მიღებაზე ხელს აწერს მძღოლი, ასევე მითითებულია გარბენილი კილომეტრები; აღნიშნულის საფუძველზე შედგენილ ჩამოწერის აქტებს ხელს აწერს კომპანიის ფინასური მენეჯერი, ხოლო ორივე დოკუმენტს ამტკიცებდა დირექტორი. აუდიტით გამოვლინდა, რომ ფინანსურ აღიკვეთაში შესაბამის ანგარიშზე ასახული საწვავის, კერძოდ ბენზინის ბარათის მიხედვით, 2008 წელს ჩამოწერილია უფრო მეტი საწვავი (682 ლიტრით), ვიდრე ჩამოწერის აქტებით, ხოლო 2009 წელს ჩამოწერის აქტებითაა უფრო მეტი (770 ლიტრით) საწვავი ჩამოწერილი, ვიდრე ბურალტრულ აღრიცხვაში ასახული მარაგის რაოდენობა. შემდგომ წლებში გახარჯული საწვავის ჩამოსაწერად, არანაირი დოკუმენტი შედგენილი არ არის. აქედან გამომდინარე, თუ რომელი ავტომატური მიხედვით ჩამოიწერა საწვავი, გაურკვევლია. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ

მიუთითებს ფინანსურ ადრიცხვაში არსებულ ნაკლოვანებებსა და შიდა კონტროლის სისუსტეებზე.

აუდიტის მიმდინარეობისას დეტალურად იქნა შესწავლილი კომპანიის მიერ მხოლოდ 2008–2009 წლებში გახარჯული საწვავის მიზნობრიობა და კანონიერება (აუდიტის პერიოდში დახარჯული საწვავის არსებითი რაოდენობა 87% აღნიშნულ წლებზე მოდის და ამასთანავე, დანარჩენ წლებზე საზოგადოებამ ვერ წარმოადგინა ხარჯვის შესახებ დეტალური ინფორმაცია). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად საზოგადოებაში 2008–09 წლებში საწვავი ჩამოწერილია სამ ავტომანქანაზე:

								/ლიტრი/	/ლარი/
ავტომანქანის დასახელება	სახ. N	2008 წლის ხარჯი				2009 წლის ხარჯი		ჯამი	
		ბენზინი		დიზელის საწვავი		ბენზინი			
		რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა	რ-ობა	თანხა		
გაზ 31-10	VIP-756	3998	5,862			5082	5,727		
ურალ 4320-10-12	ACT-140			1000	1,356	0			
ურალი 375 (ლიხტვაგენი) – გენერატორი	ACO-593	17340	25,424			13888	15,650	41,074	

მსუბუქი ავტომანქანა გაზ 31–10 ემსახურებოდა საზოგადოების მენეჯმენტს. მიღებული განმარტებით, დარჩენილი ორი ურალი წარმოადგენს ორ ძრავიან ავტომანქანას – ე.წ. „ლიხტვაგენი“; მათი ზედა ძრავი გამოიყენება ელ. ენერგიის გამოსამუშავებლად (დიზელ – გენერატორის ფუნქცია), რომლის ასამუშავებლად საჭიროა დიზელის საწვავი, ხოლო გადაადგილებისათვის „ურალ 375“-ს ესაჭიროება ბენზინი, „ურალ 4320–10–12“-ს კი – დიზელის საწვავი. აღნიშნულ ორძრავიან ავტომანქანებს საზოგადოება იყენებდა კინოსტუდიის ლაბორატორიაში ფირების გამჟღავნების დროს (მოსალოდნელი დენის გათიშვისას, როგორც დამატებითი დენის წყარო). კომპანიის მიერ წარმოდგენილი საფინანსო-საადრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად, რომლის საფუძველზედაც ხორციელდებოდა საწვავის ჩამოწერა, ურალ 375-ზე 2008-09 წლებში ბენზინის საწვავის (თანხით სულ 41,074 ლარის) ჩამოწერის აქტებში ხარჯვის საფუძველად მითითებულია ნამუშევარი საათები და არა გარბენილი კილომეტრები, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას ავტომანქანა ტრანსპორტირების მიზნით არ გამოუყენებია. ნამუშევარი საათების მიხედვით ჩამოწერა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ავტომანქანა გამოიყენებოდა დიზელ - გენერატორის დანიშნულებით, რომლის ასამუშავებლადაც საჭირო იქნებოდა დიზელის საწვავი. ამასვე ადასტურებს აუდიტის ობიექტზე მიღებული ახსნა-განმარტებები, რომელთა თანახმად, 2008 წელს „ქართული ფილმი“ თანამშრომლობდა აზერბაიჯანულ კინოკომპანია „ნარიმანფილმთან“. კონტრაქტის ფარგლებში გამჟღავნდა ფირები, ხოლო 2009 წელს ლაბორატორიამ გაამჟღავნა 2 200 მეტრი (კინოსურათი „სალნამე“) ფირი, რისთვისაც ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში გამოიყენებოდა დიზელ-გენერატორის მიერ გამომუშავებული ენერგია.

ე. ი. ფირების გამჟღავნებისათვის საზოგადოებას სჭირდებოდა ძირითადად დიზელის საწვავი. აღნიშნულს ადასტურებს ასევე საწვავის ფინანსური აღრიცხვის ბარათები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება „ურალ 375“ სახელმწიფო ნომრით ACO 593 –ზე ჩამოწერილი და ხარჯად აღიარებული **41 074 ლარის** საწვავის (ბენზინი) **ფაქტობრივად ხარჯვის რეალობა**. მოცემულ გარემოებაზე მიუთითებს ცხრილში წარმოდგენილი საწვავის ხარჯვის დინამიკა, საიდანაც ჩანს, რომ 2010–11 წლებში საწვავის ხარჯვა შემცირებულია საშუალოდ 84 %-ით, ხოლო 2012 წელს საზოგადოებას საწვავის ხარჯვა საერთოდ არ განუხორციელებია.

სატელეფონო ხარჯები:

2008 წლის 1 მაისს შპს „ჯეოსელთან“ გაფორმდა ხელშეკრულება მობილური კავშირგაბმულობის მომსახურებაზე 19 000 ლარის ოდენობით.

2008-2012 წლების განმავლობაში საზოგადოების მიერ სატელეფონო მომსახურების მისაღებად, ფინანსური ანგარიშგების თანახმად, შპს „ჯეოსელისთვის“ გადახდილია 52 429 ლარი.

	2008	2009	2010	2011	2012	სულ
სატელეფონო ხარჯების გადახდები	17,759	18,420	4,045	5,250	6,954	52,429

2008 წელს აღიარებულია ხარჯად და გადახდილია **1 011 ლარის** ღირებულების სატელეფონო მომსახურება **დაუსაბუთებლად**, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების გარეშე; აღნიშნული თანხა არა არის შეტანილი „ჯეოსელის“ მიერ წარდგენილ ანგარიშ-ფაქტურებში¹⁶.

გადახდილი თანხების არსებითი ნაწილი (69%) 2008-09 წლებზე მოდის. კომპანიაში სატელეფონო ხარჯების ლიმიტები დაწესდა მხოლოდ 2010 წლიდან.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მდგომარეობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების თანახმად, სს „ქართულ ფილმს“ 2012 წლის ბოლოს დაუმთავრებელი წარმოების N1630 საბალანსე ანგარიშზე ერიცხება 2 275 824 ლარის დაუმთავრებელი: მულტფილმები – 279 617 ლარის, მცირემეტრაჟიანი – 60 109 ლარის, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები – 1 917 194 ლარის და 18 905 ლარის სცენარები.

¹⁶ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

არსებითი ნაწილი - 1 770 003 ლარი მოდის მხატვრულ ფილმზე - „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“. ანგარიშის პერიოდის დასაწყისის (01.01.2008 წელი - 1 577 069 ლარი) ნაშთის სისწორეს, სიზუსტისა და სისრულის მტკიცებას აუდიტის ჯგუფი ვერ ადასტურებს. არსებული დოკუმენტაციით კინოსურათი 2003 წელს ჩაეშვა საწარმოო პროცესში, როგორც ერთობლივი პროექტი რუსეთის კინოსტუდია „ევროფილმ სერვისთან“ ერთად. 2003 წლის 15 მარტის ერთობლივი წარმოების შესახებ N1-2003 ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, ფილმს გადაიღებდნენ ქართულ ენაზე, ხოლო მისი შემდგომი დუბლირება რუსულ ენაზე განხორციელდებოდა ქართველი მსახიობების მიერ. მიღებული განმარტებით, რუსეთის მხარემ დროულად შეასრულა ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება. ქართული მხრიდან კი, არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის გამო გადაღების პერიოდი არაერთხელ შეჩერდა. 2007 წლის 30 აპრილს „ქართული ფილმის“ დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით მხატვრული ფილმის წარმოება ჩაითვალა დასრულებულად და 2007 წლის 1 მაისიდან შეწყდა ყველა იმ პირთან დადებული ხელშეკრულება (შრომითი და ნარდობის), რომელთა საგანს წარმოადგენდა აღნიშნული ფილმის შექმნასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საქმიანობის განხორციელება. ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო ფილმის გამამღები ჯგუფის დირექტორისა და რეჟისორის მოხსენებითი ბარათები. ჯგუფის დირექტორისგან მიღებული განმატრების თანახმად, რუსულ მხარეს (რუსული ვარიანტი) ფილმი ჩაბარდა 2008 წელს. როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „ქართულ ფილმს“ დღემდე „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ ერიცხება დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, რადგან კინოსურათი არ არის გახმოვანებული ქართულ ენაზე და არ არსებობს ფილმის ქართული ვარიანტი. საფინანსო მონაცემების თანახმად, ვინაიდან კინოსურათის მიხედვით ცალკე საადრიცხვო ჩანაწერები არ არის წარმოებული, შესაბამისად, მხატვრულ ფილმთან დაკავშირებით წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებიც ვერ დგინდება.

2008 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების¹⁷ საფუძველზე კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის მხატვრული ფილმის – „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ – დასამთავრებლად შესაბამისი სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს – სსიპ „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისათვის“ გადასაცემად სულ 140 000 ლარი.

აღნიშნულის საფუძველზე, შემდგომ, 2008 წლის 4 მარტს და 19 აპრილს (დამატებით) გაფორმდა კონტრაქტი „კინოცენტრსა“ და „ქართულ ფილმს“ შორის ჯამურად 140 000 ლარზე, რომლის თანახმად საზოგადოებას დაევალა: „ფილმის სატელევიზიო ვერსიის“ დასამთავრებლად საჭირო სამუშაოების შესრულება, მიღებული თანხები

¹⁷ 2008 წლის 4 მარტის N148 და 11 აპრილის N247

გამოყენებინა მხოლოდ ამ მიზნებისათვის და სამუშაოები დაესრულებინა კალენდარული გეგმით დადგენილ ვადებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის განკარგულებებში სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დასამთავრებელი ღონისძიებებია გათვალისწინებული, და არაა ნახსენები „სატელევიზიო ვერსია“ (რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან).

პრეზიდენტის ფონდიდან თანხების მისაღებად და შემდგომ გასახარჯად დეტალური ხარჯთაღრიცხვა არ არის შედგენილი, აუდიტის ჯგუფს ვერც კალენდარული გეგმა წარედგინა. თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლი ევალებოდა „კინოცენტრს“, ხელშეკრულების თანახმად მასვე უნდა შეედგინა შესრულების აქტი „ქართული ფილმის“ მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმებისა და თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის დროს. 2008 წლის 30 სექტემბერს ხელშეკრულების მხარეებს შორის შედგენილია N101 მიღება-ჩაბარების აქტი (ისე, რომ ცენტრში არ არის წარდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები). სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის მნიშვნელოვანი, არსებითი ნაწილი გახარჯულია საზოგადოების დირექტორის ბრძანებების თანახმად ფილმის გადამღები ჯგუფის დირექტორისა და რეჟისორების (სულ 4 კაცი) ქ. მოსკოვში სამივლინებო ხარჯებისათვის. ასევე, ფინანსური ანგარიშგების თანახმად, ბრძანების გარეშე გაცემული ხელფასები თანხით 37 228 ლარი ფილმზე მომუშავე იმ თანამშრომლებზე, რომლებთანაც 2007 წლიდან უკვე შეწყვეტილი იყო შრომითი ურთიერთობები ისე, რომ ისინი საზოგადოებას გაუცემელი ხელფასების ნაწილში კრედიტორებადაც არ ჰყავდა აღიარებული. აქედან გამომდინარე არის რისკი, რომ სამართლებრივი საფუძვლების გარეშე გაცემული ხელფასები საერთოდ არ გამომუშავებულა.

„ქართულ ფილმს“ თანხები ჩაერიცხა 2008 წლის 5 მარტს – 100 000 და 21 აპრილს – 40 000 ლარის ოდენობით. 6 მარტს მთავარმა ბუღალტერმა 96 900 ლარი ნაღდი ფული გამოიტანა საზოგადოების თი-ბი-სი ბანკის ლარის ანგარიშიდან და იმავე დღეს 84 590 ლარი კონვერტაციის (თანხის კონვერტირების დოკუმენტი აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა) შემდგომ (55 000\$) გადარიცხა მივლინების ხარჯებისათვის მოსკოვში ფილმის დირექტორთან. ხელზე დარჩენილმა ნაწილმა შეადგინა 12 310 ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული იყო N1430 ანგარიშზე „მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ“. „სალაროს მეურნეობის შესახებ დებულების“ თანახმად არ მოხდა გამოუყენებელი თანხის სალაროში დაბრუნება და შემოსავალში აღება. აღნიშნული 12 310 ლარის დებიტორული დავალიანება მისი პირადი ბარათიდან ჩამოიწერა 30 აპრილს და დაეწერა კინოფილმ „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელის“ დაუმთავრებელი წარმოების საბალანსო ანგარიშს გაცემული ხელფასების სახით კომპანიის სალაროში „სალაროს მეურნეობის შესახებ“ დებულების დარღვევით¹⁸ აღურიცხავი უწყისების საფუძველზე. აღნიშნული

¹⁸ დარღვეულია საქ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N328 ბრძანებით დამტკიცებული „სალაროს მეურნეობის შესახებ დებულების“ მე-3 მუხლის მოთხოვნები.

უწყისები, როგორც მტკიცებულება, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მიჩნეული სარწმუნოდ, რადგან გაურკვეველია მათზე ხელმოწერების აუთენტურობა.

ფილმის გადამღები ჯგუფის დირექტორისგან მიღებული განმარტებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები სრულიად საკმარისი იყო კინოფილმ „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელის“ სრულმეტრჟიანი მხატვრული ფილმის ქართული ვერსიის დასამთავრებლად. ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, კინოსურათის ქართული ვერსია ჯერ კიდევ დაუსრულებელია და ირიცხება კომპანიის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

2009 წლის 9 სექტემბერს სააქციო საზოგადოებამ გააფორმა ხელშეკრულება (აპარატურის ქირავნობის შესახებ) შპს „სარკე სტუდიასთან“ 23 868 ლარზე, რომლის თანახმად „ქართულმა ფილმმა“ იქირავა კამერა RED ONE აქსესუარებით. აპარატურით სარგებლობის შეთხმელებული ვადა შეადგენდა 9 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდს. გამქირავებელს კონტრაქტის ფარგლებში 14 000 ლარი გადაერიცხა თორმეტ დღეში.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებას 2008 წლიდან საკუთრებაში ქონდა ციფრული კამერა RED ONE. იგი აქირავებდა მას და ღებულობდა შემოსავლებს. კომპანიას 2009 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, კამერა 11 აგვისტოდან 2 დეკემბრამდე მიქირავებული ქონდა საპროდიუსერო ცენტრ „სინაგ ფილმზე“ აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში.

ლოგიკურად, „ქართულ ფილმს“ სხვა კომპანიიდან იმ შემთხვევაში უნდა ექირავა კამერა RED ONE, თუ მას ამ პერიოდში გამოუჩნდებოდა კლიენტი და მოახდენდა მასზე გადაქირავებას უფრო მომგებიან ფასად. აუდიტით გამოვლინდა, რომ რეალურად საზოგადოებამ შპს „სარკე სტუდიასგან“ 9 სექტემბერს ნაქირავები კამერა მხოლოდ 12 ოქტომბერს და მიაქირავა შპს „იქს-ეფს“ 4 352 ლარად, 5 დღის ვადით. ღირებულებაში კამერის ქირავნობის გარდა გათვალისწინებული იყო აგრეთვე გადაღებული მასალის მონტაჟთან დაკავშირებული მომსახურების საფასურიც. შპს „იქს-ეფი“ წარმოადგენდა „ქართულ ფილმთან“ დაკავშირებულ მხარეს, რადგან კონტრაქტის გაფორმების დროს შპს-ს 20%-იანი მეწილე და დირექტორი (ა. მენაღარიშვილი) მუშაობდა სააქციო საზოგადოებაშიც აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ამასთან, შპს „სარკე სტუდიას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი (25%-იანი წილით) და საზოგადოების ყოფილი თანამშრომელი ლევან ბახია ხელშეკრულების გაფორმების დროს ასევე იყო შპს „იქს-ეფის“ ერთ-ერთი პარტნიორი (12,5%).

აუდიტით გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების თანახმად ზემოაღნიშნულ პერიოდში „ქართულმა ფილმმა“ „სარკე სტუდიასგან“ შეიძინა ძირითადი საშუალებები, რომლის ღირებულება 14 661 ლარი, არ იყო კომპანიის მიერ

გადახდილი და ერიცხებოდა კრედიტორად, ასევე გადაუხდელი ქონდა კამერა RED ONE-ის ქირავნობით წარმოშობილი ვალდებულების ნაწილი 9 868 ლარი, ე.ი. ჯამში შპს-სთვის 2010 წლის 31 მაისის მდგომარეობით გადასახდელი თანხა შეადგენდა 24 529 ლარს. „სარკე სტუდიას“ კი დებიტორული დავალიანების საბალანსო მუხლით (N1410 ანგარიში) ერიცხებოდა „ქართული ფილმისათვის“ გადასახდელი თანხა, რომელიც 2010 წლის 31 მაისის მდგომარეობით შეადგენდა 24 529 ლარს. 2010 წლის მაისში, ამ ორ კომპანიას შორის ისე, რომ არ შედგა ურთიერთ შედარების აქტი ან სხვა დოკუმენტი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების გაქვითვის შესახებ, სს „ქართულმა ფილმმა“ „სარკე სტუდიას“ ჩამოაწერა დებიტორული დავალიანება 24 529 ლარის ოდენობით გადასახდელი ვალდებულებების გაქვითვის გზით.

5. გაუნაწილებელი მოგება, დივიდენდები

სააქციო საზოგადოებამ 2008-2009 საფინანსო წლების შედეგების მიხედვით მიიღო 350 512 ლარის გაუნაწილებელი მოგება. აქციონერთა საერთო კრებებზე მიღებული დადგენილებების თანახმად, აუდიტის პერიოდში სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა სამინისტროებს არაერთგზის ეთხოვა გასანაწილებელი დივიდენდების, საწარმოში რეინვესტირების სახით დატოვება, რაც უნდა მოხმარებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და ძირითადი საშუალებების განახლების პროცესს; თუმცა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილებით დამტკიცებულმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილმა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიმღებმა კომისიამ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თავის 2009 წლის 3 ნოემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება (შეთანხმება N8 09.12.2009წ), რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა მიეღო კუთვნილ აქციათა (66.66%) შესაბამისი 2008 წლის დივიდენდი 194518 ლარის ოდენობით.

საქართველოს პრზიდენტის 2003 წლის 13 ივნისის N262 ბრძანებულებიდან გამომდინარე დივიდენდების განაწილების საკითხი უნდა გადაეწყვიტა საწარმოს პარტნიორთა კრებას, ვინაიდან აღნიშნული კრება არ გამართულა 2008 წლის წმინდა მოგება კომპანიამ ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში საკუთარი კაპიტალის ნაწილში, გაუნაწილებელი მოგების სახით.

რაც შეეხება 2009 წლის წმინდა მოგებას, თანახმად ზემო აღნიშნული ფინანსთა სამინისტროსთან არსებული კომისიის 2011 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა (შეთანხმება N5 20.10.2011წ) და საბიუჯეტო კოდექსში, საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის N4210 კანონით შეტანილი ცვლილებისა, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიუხედავად პირდაპირ უნდა მიმართულიყო ბიუჯეტში. შესაბამისად 2009 წლის წმინდა მოგება (36809 ლარი) კომპანიას გასანაწილებელი

დივიდენდის სახით უნდა ეღიარებინა ვალდებულებად და მიემართა სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც არ განხორციელებულა.

6. დებიტორ – კრედიტორული დავალიანება

2008 წლის დასაწყისისთვის საზოგადოებას საბალანსე ანგარიშზე (1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) დებიტორული დავალიანების სახით ერიცხებოდა 23 598 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანების (საბალანსე ანგარიში 3110 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები) სახით - 170 332 ლარი. აუდიტის პერიოდის განმავლობაში დებიტორული დავალიანება გაიზარდა 65 471 ლარით და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 89 069 ლარი, საიდანაც 2006-2009 წლებში წარმოშობილია 57 158 ლარის დავალიანება, რის შესამცირებლადც მენეჯმენტის მიერ არანაირი ღონისძიება არ გატარებულა. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას, იგი გაიზარდა 85 117 ლარით და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 255 440 ლარი, საიდანაც 177 925 - წარმოადგენს ელექტროენერგიის, ხოლო 57 602 - დასუფთავების გადასახადს (აღნიშნული დავალიანებები წარმოშობილია 2008 წლამდე, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა განხორციელდა აუდიტის პერიოდში).

რეკომენდაცია

- კომპანიას შეუძლია იხელმძღვანელოს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დატკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 65-ე მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება), რომელთა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია და სხვა ვალები, რომელთა ამოღება არარეალურია, შეიძლება ჩამოწერილ იქნეს ბალანსიდან ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.
- საჭიროა გატარდეს კანონით განსაზღვრული ღონისძიებები ანგარიშვალდებულ პირებზე რიცხული დავალიანების დასაფარად.

7. ინვენტარიზაცია

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების მე-13 და მე-15 მუხლის პირველი მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, საწარმოები ვალდებული იყვნენ, ყოველი წლის ბოლოს, ასევე ქონების იჯარით გადაცემის, გაყიდვის ან პრივატიზაციისას, მოეხდინათ ბალანსზე რიცხული ქონების, ასევე მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც აუდიტის წლებში არ განხორციელებულა. კომპანიებმა ინვენტარიზაცია ჩატარეს მხოლოდ 2014 წელს, აუდიტის მიმდინარეობისას.

შპს „პარაგონთან“ სს „ქართულმა ფილმმა“ გააფორმა ხელშეკრულება, ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში ახმეტელის ქ. N10-ში არსებული მოძრავი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციისა და მათი საბაზრო ღირებულებით შეფასების შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, ინვენტარიზაციის პროცესში აღრიცხული 1922 აქტივიდან მოხდა 1831 აქტივის დაკავშირება ბუღალტრულ ჩანაწერებთან, სხვაობამ სააქციო საზოგადოების სააღრიცხვო მონაცემებთან შედარებით 91 ერთეული (34 პოზიცია) შეადგინა, საიდანაც 74 ერთეული, როგორცაა საოფისე (სტაციონარი) ტელეფონები ღირებულებით 20 ლარი, ტანსაცმლის საკიდები და სხვა) არის მცირე ფასიანი და თავის დროზე მათი აღრიცხვა ძირითადი აქტივების რეესტრში დამოკიდებული იყო საწარმოს იმ დროინდელ საბუღალტრო პოლიტიკაზე. აღნიშნული აქტივების ჯამური საბაზრო ღირებულება შეადგენს 10 460 ლარს; 11 ერთეული აქტივი რომლებსაც განეკუთვნება ძველი რუსული ტექნიკა და უმეტესობა მათგანი იმყოფება დღეს არამუშა მდგომარეობაში, წარმოადგენს წინა პერიოდებში ჩამოწერილ არა უტილიზებულ ძირითად საშუალებებს, საიდანაც მოხდა ზოგიერთი მათგანის საჭიროების გამო შეკეთება და დღეის მდგომარეობით იმყოფება ექსპლუატაციაში. მათი ჯამური საბაზრო ღირებულება შეადგენს 2 226 ლარს; რაც შეეხება 6 ერთეულ ძირითად აქტივს, მათი დაკავშირება ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ბუღალტრულ საბალანსო ჩანაწერებთან და შეიძლება ჩაითვალოს ფაქტიურ ზედმეტობად, მათი საბაზრო ჯამური ღირებულება შეადგენს 8 821 ლარს, ესენია:

Row Labels	რაოდენობა	ღირებულება
soundcard	1	634
გარე ვინჩესტერი	2	340
ნოუტბუქი	1	350
სისტემური ვინჩესტერი	1	7297
წყლის გამაცხელებელი	1	200
Grand Total	6	8821

რაც შეეხება ძირითადი მოძრავი აქტივების დანაკლისის საბუღალტრო მონაცემებთან შედარებით, მათმა ჯამურმა რაოდენობამ 56 პოზიციის მიხედვით შეადგინა 160 ერთეული, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს 138 175 ლარს, აქედან სააქციო საზოგადოებასთან მიმართებაში 125 629 და შპს-სთან მიმართებაში 12 546 ლარი.

აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა ინვენტარიზაციის შედეგად დაკავშირებული აქტივების შერჩევითი გადამოწმება, სხვაობა არ გამოვლინდა.

ამას გარდა, ანგარიშსა და დირექციის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სს „ქართულ ფილმს“ 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ერიცხება 340 638 ლარის მოძრავი ქონება (მანქანა-დანადგარები)

საქართველოს რეგიონებში არსებული კინოფიკაციების სამსახურების მიხედვით, რომელთა დიდი ნაწილი, უსახსრობით გამოწვეული აღურცხაობისა და ქსელის მოშლის გამო, დაკარგული და განადგურებულია. სულ დანაკლისმა წარმოდგენილი მასალების მიხედვით 491 756 ლარი შეადგინა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების მე-16 მუხლის პირველი მეორე პუნქტების თანახმად, დანაკლისი უნდა დაეწეროს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, ხოლო მათი არ ყოფნის პირობებში იგი უნდა აისახოს საწარმოს ფინანსურ მაჩვენებელზე, რაც შეეხება ზედმეტობას იმავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, უნდა იქნას აყვანილი შემოსავალში და აისახოს ფინანსურ შედეგზე.

8. საფინანსო-საბუღალტრო ანგარიშგების მდგომარეობა

სს „ქართულ ფილმში“ ფინანსური, სააღრიცხვო ინფორმაცია იწარმოება კომპიუტერული პროგრამა „ორისის“ საშუალებით. აუდიტის წლებში კომპანიაში არ იყო უზრუნველყოფილი ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანები - საწარმოს ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლი¹⁹. ბუღალტრული დოკუმენტები არასისტემატიზებულია, არ არის აკინძული და შეკერილი სათანადოდ. არ იყო დოკუმენტურად გაწერილი შიდა საწარმოო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის სისტემა. ასევე, აუდიტის წლებში არ ტარდებოდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობას.

„ქართული ფილმის“ ქონების ბაზაზე წლების განმავლობაში 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იყო 17 შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება რეგიონებში – რაიონული კინოვიდეოების სახით (მოძრავი ქონების ბაზაზე), და 6 – თბილისში; აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი ინვესტიციების საბალანსე ანგარიშზე (მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში) კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა სადებეტო ნაშთი – 5 724 738 ლარის ოდენობით, აქედან 5 277 862 ლარი – თბილისში.

აუდიტის პერიოდში სააღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიას აღნიშნული საზოგადოებებიდან, გარდა შპს „ქართული ფილმი – უძრავი ქონებისა“, არანაირი დივიდენდი არ მიუღია.

სააქციო საზოგადოება ასევე არ ადგენდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას შვილობილი საწარმოების გათვალისწინებით.

¹⁹ დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლისა და მე-15 მუხლის მოთხოვნები.

რეზიუმე:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოების მიერ გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები გაიხარჯა არარაციონალურად, დაუსაბუთებლად, სამართლებრივი საფუძვლებისა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე და რიგ შემთხვევებში კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამოდ.

შვილობილი კომპანიის (შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონება“) დაფუძნებამ გამოიწვია გარკვეული სახის ხარჯის (სახელფასო - 7 თანამშრომელზე) გაორმაგება. უძრავი ქონების მართვა შესაძლებელი იყო თავად დამფუძნებლის მიერ (სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნით). ამასთან ერთად, იგი (შვილობილი) სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების გასხვისება-განკარგვის განხორციელებისას არაა მოქცეული დამფუძნებლის ანალოგიურ საკანონმდებლო სივრცეში, რაც თავისთავად არ უწყობს ხელს შემოსავლებისა და შესაბამისად სახელმწიფოსთვის გადასახდელი დივიდენდების ზრდას და მიღებული შემოსავლების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას.

აუდიტის ჯგუფის აზრით, ქვეყანაში კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების სრულყოფისათვის, საჭიროა შეიქმნას კონცეფცია, რაც შესაძლებელს გახდის სახელმწიფო-საბიუჯეტო (სსიპ „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“) და წილობრივი მონაწილეობით (შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“, სს „ქართული ფილმი“) შექმნილი ორგანიზაციები მოექცეს ერთიან მაკოორდინირებელ სისტემაში, რათა კონსოლიდირებული სახსრები მიიმართოს საქართველოში კინოინდუსტრიის ასაღორძინებლად.

უარყოფითი დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

უარყოფითი დასკვნის გაცემის საფუძვლებში აღწერილი გარემოებების მნიშვნელოვნების გამო სს „ქართული ფილმის“ საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

უფროსი აუდიტორი ჯგუფის ხელმძღვანელი:
ელგუჯა ბეროშვილი



უფროსი აუდიტორი:
ლალი სეხნიაშვილი



აუდიტორ ასისტენტი:
ილია ლომაური



აუდიტორ ასისტენტი:
მარინე პრიხოდკო

